№ 196 სექტემბერი 14, სამშაბათი 1893 სექტემბერი 14, სამშაბათი № 196

# ივერია

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

გაზეთი ღირს. ცალკე ნომერი—ერთი შაური

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

**მარიამ ლუკას ასული და იოსებ ლუკას ძე ისარლიშვილები, ეკატერინე ჟანდინოვისა, ანნა და ფარნაოზ ისარლიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა: პირველი მამისა და სხვანი—ძმისა, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის **ლუკა სტეფანეს ძის ისარლიშვილისასა** და სთხოვენ მობრძანდნენ და დაესწრნენ მიცვალებულის გვამის გამოსვენებას ხვალ, 15 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, დობრჟანსკის სახლიდგან (გოლოვინის პროსპექტი), რომაელ-კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში და იქიდგან სოლოლაკის სასაფლაოზედ.

პანაშვიდი იქმნება დღეს, 6 საათზედ. (1—958—1)

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16 სექტ.**

ჟურნალ „მოამბის" განცხადება იხილე მეოთხე გვერდზე.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 12-ს ორი ავადმყოფი იყო: ერთი რკინის გზისა და ერთიც სამხედრო საავადმყოფოში.

ბაქოს გუბერნია

ბაქოში სექტემბრის 9-ს დილით 2 ავადმყოფი იყო. ამ დღეს იქაურს მიხეილის საავადმყოფოში მოიყვანეს ერთი. იმავე დღესვე გარდაიცვალა ერთი, ასე რომ სექტემბრის 10-ს დილით სულ 5 ავადმყოფი დარჩა. ამას გარდა ბაქოში სექტემბრის 9-ს ხოლერით ავად გახდა სამი მაჰმადიანი დედაკაცი, რომელთაგან ერთი კიდევაც გარდაიცვალა. სამივენი სპარსეთიდგან ჩამოსულები იყვნენ.

# ახალი ამბავი

*** 12 ამ თთვეს გარდაიცვალა ლუკა სტეფანეს ძე ისარლოვი, რომელიც კარგა ხანს ცენზორად იყო ქართულის ენისა.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭომ 1892 წლის მარიამობისთთვის 13-ს განიხილა, რამდენი უნდა იქმნას გაწერილი ტფილისის გუბერნიაში მიწის გარდასახადისა. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, ისიც დაადგინეს, რომ შეიკრიბოს ცნობა, რამდენი მიწა აქვს გლეხობას თავის საკუთრებად ნადელს გარეშე, რათა ამის მიხედვით ამ მიწებზედაც ხარჯი გააწეროს ხაზინამ. ამას გარდა უნდა შეკრებილიყო ცნობა ყველა მაზრაში ცალკ-ცალკე იმის შესახებ, თუ რომელ მემამულეს რამდენი აქვს მიწა ბალად, რამდენი სახნავი-სარწყავი და ურწყავი, აგრეთვე საძოვარი და ტყე.

ყველა ამ ცნობათა შეკრება და რიგზე მოყვანა ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა დაავალა ცალკე კომისიებს, რომლის წევრებად უნდა იყვნენ: მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუაკაცი, მაზრის უფროსის თანაშემწე ან პოლიციის ბოქაული და თითო მემამულე ყოველს საპოლიციო საბოქაულოსაგან. ამავე კომისიის მოვალეობაა ყველა მიწების სამ რიგად დაყოფა: პირველის რიგისად უნდა იქმნას ჩათვლილი საბაღე მიწები, მეორე რიგისად—სარწყავი და ურწყავი სახნავი მიწები და მესამე რიგისად—საძოვარი; ხოლო ტყე ამ სამ რიგის მიწათა შორის ისე უნდა განაწილდეს, რომ თავისი შემოსავლით უდრიდეს ან ერთს, ან მეორეს, ან მესამე რიგისას.

ამ განკარგულების თანახმად ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ლევან ჯანდიერმა დიდი ხანია განკარგულება მოახდინა, რომ ყოველი საჭირო ცნობა შეეკრიბა ამ საქმის შესახებ, რისთვისაც, სხვათა შორის, ყველა მემამულეს საკუთარი უწყება გაუგზავნა და სთხოვა, შემატყობინეთ ვის რამდენი და როგორი მიწა გაქვთ მფლობელობაში ნადელს გარეშეო. ეს უწყებანი გაეგზავნათ ჯერ ისევ მაისში და დღემდე ვერ წარმოუდგენიათ მემამულეთ საჭირო ცნობანი. რა თქმა უნდა, ამითი ჯერ კომისიის საქმე გვიანდება და, მეორეც, თვით მემამულეთა მფლობელობის ნამდვილი ცნობაც ვერ იკრიბება. კომისია-კი ვალდებულია სრული ცნობა წარუდგინოს საგუბერნიო მმართველობას ყველა მემამულეს შესახებ. რასაკვირველია, კომისია, რაც უნდა ეცადოს, ვერ წარადგენს ნამდვილ ცნობებს მემამულეთა მიწების მფლობელობის შესახებ, და მერე-კი, როგორც ჩვეულნი ვართ ამისთანებში, უნდა ჩივილსა და წუწუნს მოვყვეთ: არა, ამდენი არა მაქვს, არა ეს ჩემი არ არის, სხვას მივყიდეო და სხვა.

საჭირო ცნობანი მემამულეთ უნდა საჩქაროდ და დაწვრილებით წარუდგინონ მაზრის უფროსებს, რომ კომისიამ სიაში იმდენი ჩასწეროს, რამდენიც ნამდვილად აქვს თითოეულ მამულის პატრონს. ამისთანა საქმე მოხდა ამ რამდენისამე წლის წინადაც, როცა სიები თითქმის მემამულეთა დაუხმარებლად შეადგინეს და დღეს უნდათ შეასწორონ, რომ შემდეგში ხარჯის გაწერა ნამდვილს მფლობელობას ეთანხმებოდეს.

*** ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის საიმპერატორო მკურნალთა საზოგადოებისა. წაკითხულ იქმნება ორი მოხსენება: ა. მ. შეინფოგელისა და პ. მ. საკანოვსკისა.

*** აბაშა: ამ თთვის 8-ს აქ გაიმართა ქართული წარმოდგენა ერთ ღარიბ სტუდენტის სასარგებლოდ. წარმოადგინეს კომედიები: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან" და „მონადირე"—ვ. გუნიასი და „დატრიალდა ჯარა"—კ. ყიფიანისა. შემოსავალი იყო—63 მან. და 50 კაპ.

ხარჯი 33 მან. და 40 კაპ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 30 მ. და 10 კ.

*** ხობი (ზუგდიდის მაზრა): ორი წელიწადი იქმნება მას აქედ, რაც ორმა აქაურმა მცხოვრებმა ბორანი გააკეთეს ხობის წყალზედ. უწინ-კი აქ მაგარი და უშიშარი ხიდი იყო რკინის ბურჯებიანი. ამ ბორნით მიმოსვლა ხალხს ძვირად უჯდება, ამიტომ აქაურებმა გადაწყვიტეს, მოეგროვებინათ ფიცრები ხიდის ზემო ნაწილის გასაკეთებლად. შეუდგნენ კიდეც საქმეს და ამ დროს მოვიდნენ ბორნის პატრონები და აღუთქვეს აქაურ საზოგადოებას უფასოდ გაყვან-გამოყვანა და ამით დაშალეს დაწყებული საქმე. თუმცა აქაურებიც უფასოდ გაჰყავთ, მაგრამ სხვებს-კი მეტად აწუხებენ; მოთავე რომ იყოს, ყველა აქურები დიდის სიამოვნებით გააკეთებენ ძველს ხიდს, რადგანაც დიდი არაფერი სჭირდება, გარდა ფიცრებისა. რადგანაც ამ ბორანს დიდი ფასი აძევს, ზოგიერთები ფონში გადიან და ამის გამო უბედურებაც მოხდება ხოლმე. ამ თთვის 7-ს ზუგდიდიდგან მომავალი მეეტლე და სამი ცხენი დაიჩრო ამ მდინარეში.

*** ახალ-სენაკი 10 სექტემბერი: ამასწინად ახალს-სენაკის მახლობლად ხიდი ჩატყდა, სწორედ იმ დროს, როცა ეტლი გადიოდა. ოთხი კაცი და ეტლი ჩავარდა და დაზიანდა. ამ სამის წლის წინად გააკეთეს ხიდები, მაგრამ დღეს ყველა გაფუჭებულია: გასვლა უხიფათოდ ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ურიგო არ იქნება, ადგილობრივი ადმინისტრაცია ყურადღებას მიაქცევდეს ხსენებულ დაბებ შუა ხიდების გაკეთებას.

## შემოწირულობა

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ცხინვალის სამკითხველოსათვის შეუწირავთ: „მწყემსის" „კვალის" და „ჯეჯილის" რედაქციებს ერთის წლის გამოცემა; „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება-ს" თავის გამოცემული ორმოცდა ოთხი ცალი სხვა-და-სხვა წიგნი; ვ. გუნიას—1893 წ., კალენდარი, მიწერ მოწერის კრებული და თვისი დრამები და კომედიები; ბ. ქუჩუკაშვილს—„კრებული" 1871 წლიდგან 1873 წლამდე, დემონი, სტეფენსონი და პატარა მოამბე; აღნიაშვილს—თავის ანბანი; ანტონ ფურცელაძეს—„მაცი-ხვიტია" და „ვაი მართალთა;" დ. კარიჭაშვილს—თამარ მეფე, როსტომაშვილს „შინაური საქონლის მოვლა" და ს-ძ-სა—„მოლა მასრადინა:" იაკ. ზედგინიძეს—ერთი მანეთი, ქ-ნ გუგუშვილისას—ორი მანეთი და ის. ყიცარიძეს—15 ცალი წიგნი.

## დამაკვირდი

თუ გინდა იცოცხლო ქვეყანაზე, ცხოვრების უღელიც უნდა აიტანო; ხოლო თუ გწყურის თავისუფლება—მაშინ-კი უნდა მოჰკვდე.

ბელ

**

ვისაც გული წმინდა აქვს, იმას სახეც უბრწყინავს.

კლიშ

**

ქვეყანა სავსეა სასიამოვნო საწამლავით.

ფოგელკეტ

## კორესპონდენცია

**სოფ. ბორჩხა** 10 სექტემბერი. უნდა მოგახსენოთ, [illegible] შვალებას და შეღავათს აძლევს აქაურ ქართველ მაჰმადიანებს ოთინკოს ჩერმუქი (აბანო). საიდგან გინდათ რომ აქ არ მოდიოდნენ ავადმყოფები, კაცი თუ ქალი, მაგრამ მომეტებით ქალები. ეს აბანო ძალიან უხდება მომეტებულად კუტებს და ქარებიან ავადმყოფებს. მაგრამ სამწუხაროდ გზა არა აქვს და მძიმე ავადმყოფისთვის საძნელოა მისვლა. მაგრამ წრეულს მაინც ათასობით იყვნენ ავადმყოფები, რადგანაც გაიგეს ცოტათი შეაკეთეს გზებიო.

თუმცა ადგილობრივმა უფროსმა, თავ. ლეონიძემ, ცოტათი შეაკეთებინა ეს საჭირო გზა, მაგრამ ამისთანა პატარა შეკეთებით და ყურის თხოვებით ვერ ვიხსნით, არა თუ ავადმყოფებთ, კარგად მყოფებსაც, გასაჭირის მგზავრობისაგან. აბა ვინ იტყვის უარს იქ წასვლაზე, ხეირიანი გზა რომ იყოს. მშვენიერი ჰაერი, ნაძვის ტ კატრის ხეებით შემოკრული და მასთან დევეს ღელესპირს აბანო (ეს ღელეც სავსეა კალმახით), მეორეც კარჩხალის მთაც ახლოა, სადაც დიდი იალაღებია; აქა ჰყავთ ზაფხულობით საქონელი. რა გინდათ აქ ვერ იშოვოთ იაფად: ცხვარი, ერბო, რძე, მაწონი და ყველი; ქათმებიც მოჰყავთ სოფლიდგან (სოფელიც ახლოა), მხოლოდ გზა კაი გააკეთონ, რომ საშიში არ იყოს კლდეზე გადაჩეხისა; მაშინ ყველა წავა სიამოვნებით ბათუმიდგან, რომელიც ორმოც-და-თექვსმეტ ვერსზე ძლივს იქნება. მეორე აუცილებელი საჭიროებაა, აბანოსთან რამდენიმე ხეირიანი ოთახი გააკეთებინონ, რომ მოსვლელებს ჰქონდეთ თავ-შესაფარი. მადლობა ღმერთს, ტყე არ არის საძებნელი, ყურის ძირშია იქავე; ერთი ხე რო მოაჭრევინოთ, ორ ოთახს მშვენიერს გააკეთებინებთ და ყავარიც იმ ხიდგან გამოვა იმის დასახურათ. ყველაფერი ადვილია, თუ მსურველი და გულშემატკივარი ვინმე გამოგვიჩნდა ამ სასარგებლო და საჭირო საქმისთვის. უფრო ამით არის ეს აბანო საყურადღებო, რომ იგი თამარ დედოფლის დროის გამოჩენილი ტ თითქმის მისი ხელით ნაშრომი და ნაამაგევია. ხოლო დრო და ჟამმა მოუღო ბოლო ამ სასარგებლოსა და სახსოვარს ნაშთს. ამაზე უკეთესი და გამოსადეგი ამ ქვეყანას არა მოიპოვება-რა. აქამდის ახსოვთ აქაურ ქართველ მაჰმადიანებს ამ აბანოს ისტორია.

თამარ დედოფალს ამ ოთინკოს ახლოს სადღაცა სასახლე ჰქონია, (სამწუხაროდ, დღეს-კი არა სჩანს-რა იმისი. ეტყობა, ნანგრევი თუ სადმე არის, იმ უზარ-მაზარ ტყეში უნდა იყოს დაფარული, რომელიც დღეს არის ოთინკოს ახლო-მახლო), ერთ ზამთარს აქ დარჩენილა საცხოვრებლად. სასახლეში ჰყოლია ბევრი გოგარჩინი (ტრედი) ერთ დღეს უნახავს, ერთი ტრედი ავად იყო. უბრძანებია თამარს, სახლში არ მოკვდეს, სადმე წაიყვანეთ და გაუ- [illegible] სადაგვარად წაუყვანიათ და სახლის ეზოს გარეთ (იმ წელს საქენ ნახევარი თოვლიცა ყოფილა) გაუშვიათ. გაიარა სამმა დღემ, ეს ტრედი დაბრუნებულა მორჩენილი, მაგრამ დასველებული. დაუნახავს ეს თამარ-დედოფალს და ძალიან გაჰკვირვებია. უბრძანებია, აქ სადღაცა აბანოს წყალი უნდა იყოსო. გაუგზავნია რამდენიმე კაცი სხვა-და-სხვა მხარეს მოსაძებნად და მართლადაც უნახავთ დღეს რომ აბანოა. იმ ადგილას თოვლი მთლად გამდნარი იყო და ცხელი წყალიც გამოჩუხჩუხებდა. რასაკვირველია, როგორც ნახეს ისე მოახსენეს თამარს და ძალიან ეამა იმ წყლის ნახვა და მნახველებსაც დიდი საჩუქარი უბოძა. გაზაფხული დადგა თუ არა, შეუდგა იქ აუზის კეთებას და გააკეთებინა ის აუზი, რომელსაც დღეს ვხედავთ. იმისთანა სასარგებლო აბანო შეიქმნა მართლაც, რომ ყოველ ზაფხულობით რამოდენიმე ათასი ავადმყოფი მოდიოდა ყოველ მხრიდგან. როდესაც ეს ქვეყანა ძალით გაამაჰმადიანეს, იმის შემდეგაც ერთხანს კიდევ დადიოდნენ თურმე ავადმყოფები, როგორც წინად. მაგრამ ამოდენა ხალხის სხვა-და-სხვა ქვეყნებიდგან სიარული ვერ აიტანეს მოლა-ხოჯებმა, რადგან ეშინოდათ ახალ გამაჰმადიანებულ ქალებს დაუწყებენ ცქერას, რაიცა მათის კანონით არ შეიძლებოდა; მემრე კიდევ ეშინოდათ, რომ იმათი შეხედვით ისევ არ მიეღოთ ქრისტიანობა. ამის გამო უბძანეს ხოჯებმა ხალხს, ამოეყარათ ამ აბანოს აუზი. ფუხარაც

იმათ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ და ამოყარეს კიდეც. იქიდგან მოკიდებული 1880 წლამდის ისე იყო ამოყორვილი. მაგრამ, როდესაც აქ დაინიშნა უფროსად ახმედ-ეფენდი ხალვაში, რადგან იცოდა ამ აბანოს ისტორია, ისევ ამოაწმენდინა. გაიგეს თუ არა, ოთინკოს აბანო ისევ გააკეთესო, ისევ დაიწყო ხალხმა სიარული ყოველ მხრიდგან და მას აქედ, ყოველ ზაფხულობით ჯინჭველასავით ესევიან ხოლმე ხალხი. მაგრამ უგზობის გამო იმდენი ვერ მოდიან, რამტენიც არიან მსურველნი ამ სასარგებლო აბანოში ბანაობისა. თუ ამ საქმეს მოთავე და გამძღოლი ვინმე გამოუჩნდება და მიბაძავს ახმედ-ეფენდი ხალვაშს, ხალხი დიდის სიამოვნებით მიეხმარება ამ ძვირფასს ნაშთს, რომ მოუბრუნოს ისევ ბედი თამარ დედოფლის დროისა.

ი. ჯაიანი

## რუსეთი

მთავრობას საჭიროდ დაუნახავს, ბალტიის განაპირ გუბერნიებს მიენიჭოს საერო დაწესებულებანი. საგულისხმოთ, ამბობს Русск. Вѣд., რომ მთავრობა არ შეჩერდება ამ განკარგულებაზე დ სხვა ადგილებშიც, სადაც ჯერ არ არის მინიჭებული საერო დაწესებულებანი, ყველგან შემოიღებს და მით მისცემს საშუალებას ადგილობრივ მცხოვრებთა ხეირიანად და წესიერად განაგონ თავის შინაგანი საქმეებიო.

—

იმ გარემოების გამო, რომ უმაღლესს სასწავლებლებში შესვლის მსურველთა რიცხვი ძლიერ ბევრია და ადგილი-კი ცოტა, გაზეთი Нов. Вр. სწერს: პეტერბურგის მთა-მადნის ინსტიტუტში ამ ჟამად 30 ვაკანსია, თხოვნა-კი ინსტიტუტში მიუციათ 280 კაცს. გზათა უწყების ინჟენერთა ინსტიტუტში 75 ვაკანსია იყო, თხოვნა-კი—600; სამოქალაქო ინჟენერების ინსტიტუტში 45 ვაკანსია იყო, თხოვნა—300, ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში ვაკანსია 120, თხოვნა—600, ელექტრო-ტეხნიკის ინსტიტუტში ვაკანსია 50, თხოვნა—100, სატყეო ინსტიტუტში ვაკანსიაა 40, თხოვნა 300. ჩვენ ცნობები არა გვაქვს, რა კონკურენცია იქმნება მოსკოვის ს. ტეხნიკო სასწავლებელში და ხარკოვის სატეხნოლოგიო ინსტიტუტში. მაგრამ ახალ-ალექსანდრიის სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში შეტანილია 200 თხოვნა და ვაკანსია-კი მხოლოდ 60-ია. მაშასადამე, ამ ჟამად მარტო პეტერბურგში 2,180 ახალგაზდა კაცია რუსეთის სხვა-და-სხვა გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებული. ვაკანსია-კი მხოლოდ 369. 6 ყმაწვილ კაცთა შორის ხუთი ან შინ უნდა დაბრუნდეს დაღვრემილი და იმედ გადაწყვეტილი, ან არა დ ნოქრობასა ან კანცელარიებში გადაწერას უნდა მოჰკიდოს ხელი. ამ ყმაწვილ კაცობას სურს ხელი მოჰკიდოს ტეხნიკას და არა მოხელეობას, სურს ნამდვილი ცხოველი საქმე და არა ქაღალდის ჯღაბნა კანცელარიებში და აი პირველადვე 83% იძულებულია მოაკლდეს სწავლა-განათლებას, მხოლოდ იმიტომ, რომ უმაღლეს სასწავლეელებში სივიწროვეა და ფულის უქონლობა. მაგრამ ხომ არის რომელიმე საფუძველი კონკურსის ეგზამენის დასაარსებლადაო, მეტყვიან მკითხველები, გიმნაზიიდგან უნივერსიტეტში მშვიდობიანად გადასულნი, ან უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებული. საფუძვლად არის ის შემცდარი აზრი, რომ ვითომ მხოლოდ გიმნაზიასა და უნივერსიტეტს შეეძლოს ახალგაზდობის განვითარება დ გულში სამშობლოს სიყვარულისა და სამსახურის სურვილის ჩანერგვა.

ამ ჟამად ვეჯიბრებით ევროპას ვაჭრობა-მრეწველობაში, გაგვყავს ციმბირში რკინის ფზა, ვყვირით, საჭიროა, ჩვენი მეურნეობა გავაუმჯობესოთო. და ამავე დროს ვამცირებთ რიცხვს ტეხნოლოგებისას და ანჟენერებისას.

ჩვენ დარმუნებულნი ვართ, რომ არც ერთი სახელმწიფო არ ეუბნება უარს სწავლის მსურველს ახალგაზდობას, ადგილი არა გვაქვს და ვერ მიგიღებთო. კარგად რომ დაუფიქრდეს რუსეთის საზოგადოება ამ საქმეს, ადვილად მიხვდება, როგორ არის მოკლებული საფუძველს მათი იმედი რუსეთის ბუნების სიმდიდრის გამოკვლევისა უსკოლებოდ და უინსტიტუტებოდ და შეიბრალებდა იმ ახალგაზდა კაცს, რომელთაც ამ დღეებში უარს ეტყვიან... თქვენ სწავლას ვერ მიიღებთო.

—

გაზეთ Моск. Вѣд. კორრესპონდენტი რუსეთის დასავლეთ მხრიდგან ძლიერ უიმედო თვალით შესცქერის რუსებისა და პოლონელთა ურთიერთს დამოკიდებულებას. მისის აზრით, რუსეთის სახელმწიფო იდეა სრულებით არ შეუგნია არც პოლონელთა ინტელიგენციას და არც მდაბიო ხალხსა.

—

პეტერბურგის 23 ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ 5 სექტემბერს და მოლაპარაკება ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რით შეიძლება რუსეთის მწერლობამ სამაგიერო გადაუხადოს საფრანგეთის მწერლობას, რომელიც დიდის ამბით ეგებება რუსეთის ესკადრას. გარდასწყვიტეს, დეპეშა გავუგზავნოთ კომიტეტს, რომელიც ჰმართავს დღესასწაულობას რუსეთის ესკადრის მისვლის გამო საფრანგეთში და გულითადი მადლობა განვუცხადოთ საფრანგეთის მწერლობას, რომელიც ესე ყურადღებითა და თანაგრძნობით ეპყრობა რუსეთს. დეპეშა კრებაზედვე დაიწერა და გაიგზავნა. ამას გარდა გარდასწყვიტეს: რუსულ ჟურნალ-გაზეთის რედაქტორი, რომელიც-კი აღნიშნულ დღესასწაულების დროს პარიჟში ანუ ტულონში იქმნება, დაესწროს დღესასწაულებს როგორც წარმომადგენელი პეტერბურგის მწერლობისა.

—

პეტერბურგში არსებობს „საზოგადოება ყმაწვილების აღზრდისა ფიზიკურად.“ საზოგადოებას საგნადა აქვს: ა) გამოარკვიოს ყოველ გვარი საშუალებანი ყმაწვილთა რიგიანად აღზრდისა ფიზიკურად, დედ-მამათა და აღმზრდელთა სახელმძღვანელოდ. ბ) დაეხმაროს შეძლებისამებრ ორთავე სქესის ფიზიკურ აღზრდას. საზოგადოებას მინიჭებული აქვს უფლება გამართოს ხოლმე: 1) ყმაწვილთათვის ვარჯიშობა და თამაშობანი; 2) ააგოს შენობანი და გააშენოს საყმაწვილო ბაღები თამაშობისათვის; 3) გამართოს შეცილება და შეჯიბრება ვარჯიშობასა და თამაშობაში; 4) ქალაქს გარედ სეირნობა ყმაწვილებისა მასწავლებელთა და აღმზრდელთა ზედამხედველობით; 5) გამართოს კურსები ბალოსნობისა, მებოსტნობისა, ცურვისა, გიმნასტიკისა, ტანცებისა, ველოსიპედით სიარულისა, ნიშანში თოფის სროლისა და სხვ.

საზოგადოებას აგრეთვე შეუძლიან გამართოს ახალ-შენები სუსტის აგებულების ყმაწვილთათვის. ერთის სიტყვით, საზოგადოებას შეუძლიან დიდი სარგებლობა მოუტანოს ყმაწვილების აღზრდის საქმეს.

ოფიციალურ ცნობებით პეტერბურგში ყმაწვილ კაცთა შორის ასში 65 აღმოჩნდა ისეთნი, რომელნიც სამხედრო სამსახურისთვის არ გამოდგებიან, რადგანაც ჯანმრთელნი არ არიანო. ზოგი მათგანი ვიწრო გულმკერდისაა, ზოგი თეძო-მოქცეული, გულ-ჩავარდნილი, ბეცი, უკბილო, კუზიანი და სხვ. უმთავრესი მიზეზი ამისი ის არის, რომ დედ-მამათ და აღმზრდელთ სრულიად არ იციან უპირველესი მოთხოვნილებანი ჰიგიენისა.

## უცხოეთი

ავსტრიის მთავრობისაგან პრაგაში საფრთხილო მდგომარეობის მიღება გამოწვეული ყოფილა, როგორც სწერენ იქაური გაზეთები, იმ ამბით რომ „ჩეხები ნიადაგ აღევლვებდენ ხალხს და ზოგი მათგანი არ ზოგავდა, თვით ავსტრიის გვირგვინოსაც. ერთის თვის წინად, პრაგაში იმპერატორის ფრანც იოსების იუბილეის გამო ჩეხებს მთავრობის წინააღმდეგი დემონსტრაცია მოუხდენიათ: აუგლეჯიათ, და შეურაცყვია ავსტრიის სახელმწიფო ღერბი, ჩამოუგლეჯიათ რამდენიმე ავსტრიის დროშა.

—

გაზეთმა Standard-მა დაჰბეჭდა წერილი საფრანგეთის წინააღმდეგ. ამ წერილში სხვათა შორის ნათქვამია:

„ევროპის საპოლიტიკო ატმოსფერა გაჟღენთულია ელექტრონით. რეინიდგან მოყოლებული ხმელთა-შუა ზღვამდე და სენადგან ვისლამდე ერთი და იგივე მდგომარეობაა.

ყველამ იცის, რომ მეც ში გერმანიის იმპერატორმა გამოაცხადა, ჩვენს ერს სულითა და გულით სურს მშვიდობიანობა და მეც მსურს მშვიდობიანობა დავიცვაო. განა ეს სიტყვები, საფრანგეთისა და რუსეთისადმი მიმართული, არა ჰნიშნავს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოთ სურთ მშვიდობიანობა დაარღვიონ?“

—

საფრანგეთის ჰაერონავტებსა პილლა-პანისა და ვეილს განზრახვა აქვთ რუსეთის ზღვაოსანთათვის გაჰმართონ ესკადრა ჰაეროსტატებისა. ესკადრა შესდგება 21 ჰაეროსტატისაგან. ერთი ჰაეროსტატი იქმნება ადმირალისა და ერქმევა „საფრანგეთი და რუსეთი“. დანარჩენ ჰაეროსტატებს ერქმევა სახელები საფრანგეთის გაზეთებისა. ჰაეროსტატები შემკული იქმნება რუსეთისა და საფრანგეთის ბაირაღებით. ჰაერში აუშვებენ თითო წამში ოროჰაერო სტატს ლის კოშკის ორსავე მხრიდგან და ამ დროს ზარბაზნებს გაისვრიან. ჰაეროსტატის ნავებში ჩასიენ რუსეთის ესკადრის აფიცრებს.

—

საერთაშორისო კონგრესმა უზნეო ლიტერატურის წინააღმდეგ ლოზნას სამი დღე გასტანა. კრებაზედ სხვათა შორის ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ძლიერ საშიშია ყოველ გვარ დანაშაულისა და გარყვნილობის ამბების ბეჭდვაო. ამ საგნის შესახებ მოხსენება წაიკითხა ჟენევის პოლიციის უფროსმა. შემდეგ ლოზანს პროფესორმა პაშუმ ილაპარაკა სიყვარულის შემამკობელ ლიტერატურის მავნე გავლენის შესახებ. იმ დარბაზის გვერდით, სადაც კრება იყო გამართული, ცალკე ოთახში მოთავსებულია მთელი გამოფენა გარყვნილობის ლიტერატურისა. შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება შესახებ იმისა, რომ გამოცემულ იქმნას საერთაშორისო კანონები უზნეო ლიტერატურის წინააღმდეგ და მის ავტორების დასასჯელად. კონგრესის ერთმა წევრმა ვასერმა (პარიჟიდგან) წარმოსთქვა სიტყვა და ამტკიცებდა, უზნეო ლიტერატურა შედეგია დედათა დამცირებულ მდგომარეობისაო.

—

**ამერიკა.** ჩიკაგოს გამოფენაზედ გამართულია უზარ-მაზარი ცირკი, რომელიც 20,000 კაცამდე იტევს. აქ იმართება წარმოდგენები ომისა. ჯარები სხვა-და-სხვა ერისაა და სულ ცხენოსანი: არის ცხენოსანი ჯარი შეერთებულ შტატებისა, ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, რუსეთისა და სხვ. რუსეთის ცხენოსან მხედართა შორის უმრავლესობა კავკასიის მთიელნი ყოფილან, რომელთაც უწინ ჯარში უმსახურნიათ. ერთს მათგანს წმ. გიორგის ჯვარიც აქვს დამსახურებული. მთიელნი თავგამოდებით დააჭენებენ ცხენებს, და ისე ჯირითობენ, რომ მთელი ცირკი აღტაცებაში მოჰყავთ. მუსიკა რუსეთის საერო საგალობელს უკრავს და აფიშა უსირცხვილოდატყუებს ხალხსა, ეს ყაზახები თვით რუსეთის მთავრობამ გამოჰგზავნაო. მაგრამ ხალხს ეს ყაზახები და ჯარები-კი არა, უფრო ველური ინდოელები, მექსიკის მონადირენი და გარეულ ხარების ნახირი იზიდავენ. ტიტველა, წითელის საღებავით ტან-შეღებილნი ინდოელნი საშინელის კიჟინით თავს ესხმიან თეთ-კანიან გადმოსახლებულთა სახლებს, აყენებენ ფოსტის ეტლებსა და ებრძვიან ფერმერებს; ასტყდება ხოლმე საშინელი თოფის სროლა, ყვირილი და ისეთი ვაივაგლახი, რომ კაცს ეგონება, მართლა ნამდვილი ომიაო. ცირკის სარბიელზედ ჰყრია დახოცილი ცხენები, ინდოელები მირბიან, უკან მისდევენ ფერმერები, მოისმის საზარელი ყვირილი, თოფის სროლა... ბოლოს, რა თქმა უნდა, თეთრ-კანიანი ხალხი იმარჯვებს. მთელი ცირკი აღტაცებაშია და ისეთ ყვირილს მოჰყვებიან ხოლმე დამსწრენი, რომ კაცს ეგონება, ცირკში-კი არა, საგიჟეთში ვართო.

„დედათა შრომის“ განყოფილებაში წაიკითხეს ლექციები თავ. ს. ვოლკონსკიმა და მ. ა. თავ. შახოვსკის ასულმა, რუსეთის დედათა კომიტეტის დელეგატმა ჩიკაგოს გამოფენაზედ. შახოვსკის ასულმა წაიკითხა ლექცია დედათა მნიშვნელობის შესახებ რუსეთის ისტორიაში. ლექცია ურიგო არ იყო. მხოლოდ ერთი ნაკლულევანება-კი აღნიშნეს ამ ლექციისა ამერიკის ჟურნალ-გაზეთებმა: თავ. შახოვსკის ასულს მოჰყავდა მაგალითები შესანიშნავ ქალებისა და მათ შორის ასახელებდა მხოლოდ უმაღლეს საზოგადოების ქალებს.

თავ. ვოლკონსკიმ წაიკითხა ლექცია დედათა განათლებაზედ რუსეთში. ლექცია დიდად საყურადღებო ყოფილა. ლექტორი იმ აზრისაა, რომ კარგად განათლებული ქალი ყოვლად სრული ქმნილებაა ღვთისა მთელს დედამიწაზედ. ლექტორი დიდი თაყვანის მცემელია ოჯახისა, რომელიც, მისის აზრით, ამერიკაში სრულიად არ მოიპოვება.

## თეატრის მატიანე

გაზეთ Рус. Жизнь-ის რეპორტერი სწერს: გუშინ მივდიოდი Мертвыя души-დგან ამოღებულ სცენების სანახავად და თან ეჭვი არ მშორდებოდა. რიგიანადაც რომ წარმოადგინონ, არ ვამბობ სასძაგლად, ნაწყვეტები უკვდავის თხზულებისა, მაინც შნო დაეკარგება და მოსაწყენი უნდა იყოს-მეთქი, ვფიქრობდი, რადგანაც ეს თხზულება სასცენოდ არ არის დაწერილი და მასთან შეფარდებული. მაგრამ სცენები საზოგადოდ ისე კარგად იყო დასწავლილი და ხელოვნურად წარმოდგენილი, მეტადრე თამაშობა ბ-ნ დავიდოვისა (ჩიჩიკოვი) ისე ხელოვნური იყო, რომ მთელმა წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა და დიდადაც ასიამოვნა მაყურებლები.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სახელმწიფო ქონებათა მოხელის და ბ-ნ პაპოვ შორის, რომელმაც ჩაქვში მამულები შეიძინა ჩაის გასაშენებლად, ამას წინად ატეხილ დავის გამო, გაზეთი Нов. Вр. სწერს:

ბ-ნი პაპოვი მილიონების პატრონია და მოთავე მთელს რუსეთში ცნობილ ფირმისა; იმას ადვილად შეუძლიან დაიცვას თავისი ინტერესები; მაგრამ რა უნდა ჰქნან იმ კერძო კაცთ, რომელნიც სცდილობენ როგორმე მოეწყონ კავკასიის კურთხეულ ცის ქვეშ, ან უზრუნველ ყოფილია თუ არა მომავალი ბედი მრეწველობისა კავკასიაში, თუ საქმეს ისეთმა მდიდარმა კაცმაც-კი ვერ მოჰკიდა ხელი, როგორიც არის ბ ნი პაპოვი? აშკარაა, რომ ვიდრე კავკასიაში ჯერ არ არის გამორკვეული, ვის რა მამული ეკუთვნის, ვერავინ ვერ გაჰბედავს იქ რომელსამე საქმეს ხელი მოჰკიდოს და იმას მოახმაროს თავისი ცოდნა, შრომა და ფული. პაპოვის ამბავი ნათლად გვიჩვენებს, რომ დროა ცნობაში იქმნას მოყვანილი, რა მამულები ეკუთვნის სახელმწიფოს და რა წესით შეუძლიანთ კერძო კაცთ ამ მამულების შეძენა.

თავისუფალ გაზეთის Libre Parole-ს რედაქტორი დრუმონი სწერს:

„საქმის ვითარება მეტად ცხადია. ადრე თუ გვიან ის სახელმწიფონი, რომელთაც სულელურ შეიარაღებაზედ მილიარდები დახარჯეს, მოინდომებენ სამაგიერო აიღონ და

მაშინ მხოლოდ ომს შეუძლიან ამ სახელმწიფოთა შინაური საქმეები როგორმე მოაგვაროს. ვისი იმედი გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ ომი დაგვჭირდა სამთა კავშირთან, რომელსაც ხუთი მილიონი მეომარი შეუძლიან გამოიყვანოს საბრძოლველად? საფრანგეთის სოციალისტებ შორის, რომელთაც საზღვრების მოსპობა უნდათ, ერთიც-კი იქნება ისეთი, რომ სალი ჭკუა ჰქონდეს და სჯეროდეს, ვითომც გერმანიის სოციალისტები რევოლიუციას მოხდენ, საფრანგეთის სოციალისტებს არ შევხვდეთ ბრძოლის ველზედაო. რა წამს ომი გამოცხადდება, საფრანგეთისა და გერმანიის სოციალიალისტებიც ჯარში იქნებიან მიხმობილნი და საომრად გაემართებიან. ორთავ სახელმწიფოში ერთი გამბედავი ანარქისტი თუ აღმოჩნდა, რომელიც გაიპარება ბრძოლის ველიდგან, იმასაც თოფით დახვრეტენ და მის მაგალითს სხვა აღარავინ მიჰბაძავს. ბრძოლა იმ ძალასთან, რომელიც ჩვენსას აღემატება, შეგვიძლიან მხოლოდ მეორე ძალის იმედით, რომლისათვისაც ჩვენთან ერთად ყოფნა სასარგებლოა. რუსეთს ჩვენი საწინააღმდეგო არა აქვს-რა. იმან იცის, რომ, თუ საფრანგეთი დაემხო, გერმანია ასის წლით მაინც დაიჩემებს მეთაურობას მთელის დედამიწის ზურგზედ. აი, რისთვის უნდა იყოს რუსეთი და არის კიდეც ჩვენი მომხრე. რუსეთის ესკადრის მოსვლა კიდევ ერთხელ დაანახვებს ქვეყნიერობას, რომ ჩვენ და ჩვენი ჩრდილოელი მეგობრები ერთის აზრით ვართ გამსჭვალულნი. თუ ეს ჩვენი ერთობა მშვიდობიანობას არ დაამყარებს სამუდამოდ, იმას მაინც შესძლებს, რომ დიდის ხნით გადიდოს ომი, რადგანაც ყველა დაინახავს, თუ რა აუარებელს მსხვერპლს მოითხოვს ასეთი ომი“.

შემდეგ დრლუმონი ამბობს: ჩვენ ყოველთვის მომხრენი ვიყავით ფრანგ-რუსთა კავშირისა და ვსწუხდით, რომ ამ კავშირმა სადღეგრძელოებს, ხვევნასა და წვეულობას არ გადააბიჯა. ჩვენ გვგონია, რომ ნიშნობამ კარგა ხანს გასტანა და დროა ქორწინებაც მოჰყვეს.

—

„Nouvelle Révue“-ში იბეჭდება წერილები გრაფ ლეონ ტოლსტოის შინაურ ცხორების შესახებ. წერილები შედგენილია თვით ლეონ ტოლსტოის ცოლის-ძმის ბერსის მიერ. ამ წერილებიდგანა სჩანს, რომ გრ. ლეონ ტოლსტოის ძლიერ უყვარს ოჯახი და ცოლშვილი. ამასთანავე გრაფი ძლიერ სასიამოვნო მოლაპარაკე და მხიარული ამხანაგია დროს გატარებაში: რაშიაც უნდა მიიღოს მონაწილეობა, კროკეტის თამაშობაში, თუ გიმნასტიკაში, თავის მხიარულობით ყველას გაიტაცებს, გაამხიარულებს ხოლმე, და მისის წყალობით დროს გატარება ყველას ძლიერ სასიამოვნოდ რჩება.

—

ამ ჟამად განათლებული და სწავლა-მეცნიერებით განვითარებული მუსულმანი იშვიათი აღარ არის, მეტადრე ტფილისში.

„ნასწავლთა პატარა ჯგუფი, რომელნიც შრომობენ ტფილისში და მოხელეთაგან შესდგება—სწერს ვინმე ისმაილ ბახჩისარაის გაზეთ ПереводЧИКЪ-ში,—გულს მიმშვიდებს და მამხნევებს. ხანგრძლივის ცხოვრების შემდეგ ჩვენს საზოგადოებაში, რომელსაც არაფერი არ ახალისებს, ისეთს ჯგუფს რომ შეხვდები, სადაც ჰხედავ იურისტ ახმედს, მკურნალ მეჰმედს, ინჟენერ სელიმს, განვითარებულ აფიცერ ალის, სათვალჩინო პედაგოგს ჰასანს და ყურს უგდებ დარბაისელსა და ჭკუა-მახვილ მოძღვარსა და ვაჭარს,—არ ვიცი, ვინ და როგორ უყურებს, ხოლო მე სულითა და გულით ვსტკბები. გრძნობა და ფიქრი ილვიძებს, მოძრაობს, რადგანაც კარგი და სასარგებლო საქმიანობა სწორედ რომ საუკეთესო დასვენებაა.

ტიპი განათლებულ მუსულმანთა ახალგაზდობისა, ახალი ტიპია, რომელსაც ტფილისში შეხვდებით, მეტად სიმპატიურია მისის თავ-დაბლობით, დარბაისლობით და გულ-წრფელობით. არა მოსაჩვენებლად, არამედ ჭეშმარიტად, კეთილად და სასარგებლოდ სურთ ამ ყმაწვილებს იმოღვაწონ რომელსამე ასპარეზზედ.

## ბიბლიოგრაფია

—

Histoire de Charls XII, par Voltaire. წიგნს ჩართული აქვს შენიშვნები და ლექსიკონი ფ. კრეისბერგისა, ტფილისის მესამე გიმნაზიის მასწავლებლისა. «ვოლტერის» ისტორია კარლოს მე-XII-სა შემუშავებულია ბ-ნ კრეისბერგის მიერ, როგორც სკოლაში სახმარებლად, აგრეთვე მათთვისაც, ვისაც თვითონვე სურს სწავლა შეიძინოს. წიგნში ჩართულია სინტაქსიური შენიშვნები, სხოლიოები და ლექსიკონი. ეს წიგნი ფრიად სასარგებლოა მათთვის, ვინც ფრანგულს ენაზე სწავლობს, განსაკუთრებით რეალურს სასწავლებლის მეხუთესა და გიმნაზიების მეექვსე კლასის მოწაფეთათვის. ბ-ნი კრეისბერგი ძლიერ კარგად მოქცეულა, რომ ვოლტერის წიგნი ამოურჩევია. ამასთანავე წიგნში ჩართული შენიშვნები და ლექსიკონი ძლიერ კარგად არის შედგენილი და ამიტომ ამ წიგნის ხმარება მეტად გაუადვილებს მოწაფეთ ფრანგულის ენის შესწავლას.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

გერმანიაში როგორღაც გახშირდა სიტყვით შეურაცყოფა იმპერატორისა. ამ წლის ივლისს ვენგეიმის Frohsinn-ის საზოგადოების წევრთ ქალაქს გარედ გამართეს ნადიმი. საზოგადოების თავმჯდომარემ წარმოსთქვა სადღეგრძელო იმპერატორის ვილჰელმისა,

ერთმა მუშამ, მიხეილ პაულიმ დაიძახა:

— ჩვენი საზოგადოება სამსახურიდგან გადამდგარ მხედართა კლუბი როდია! არ გვინდა ეგ სადღეგრძელო იმპერატორის ვილჰელმისა.

ეს სიტყვები მთავრობას გადასცეს და მიხეილ პაული სასამართლოში მისცეს იმპერატორის შეურაცხყოფისათვის. ამას წინად სასამართლომ დამნაშავე მუშას ორის თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

**

ისპანიის გაზეთები იუწყებიან, რომ ქ. სანსებასტიანოს მისულან თავადი ნაკაშიძე და გერმანელი ბარონესა მარიამ ეველინა რედელ-ფონ-როდელსჰეიმი. ბარონესა 30 წლისაა, თავადი-კი—ნაკლებისა. ქალს უთხოვნია იქაურ მკურნალთათვის გასინჯეთ თავადი და, თუ იმ აზრს დაადგებით, რომ თავადი მამაკაცი არის ავად და მისი მორჩენა შეუძლებელია, მაშინ 50,000 ფრანკს მოგცემთ ჯილდოდაო. ექიმებს უთქვამთ შევამოწმებთ-კი, მაგრამ ნამდვილად როგორც არის თავადი, იმას ვიტყვით და ჯილდოთ 500 ფრანკი გვეყოფაო. გასინჯეს თავადი და აღმოჩნდა, რომ სასიკვდილოდ არ არის ავად. ქალმა ექიმებს არ მისცა დაპირებული ფული და ექიმებმა სასამართლოში უჩივლეს. ამასთანავე პოლიციამ იდუმალი გამოძიება მოახდინა და აღმოჩნდა, რომ თავადი ნაკაშიძე ამ ქალის საყვარელი ყოფილა და ქალი „მთავრობით“ (ჰიპნოტიზმი) იმორჩილებდა თურმე. ქალს უნდოდა ნაკაშიძეს მაზედ ჯვარი დაეწერა და იმის მამულები (?) კავკასიაში ხელთ ეგდო. თავ. ნაკაშიძეს რომ ჰკითხავდნენ რასმე, ის ჯერ ქალს შეჰხედავდა და ისე უპასუხებდა თურმე, უიმისოდ ხმას არ იღებდა. ისპანიის მთავრობამ ეგვი აიღო და ქალს უბრძანა ავადმყოფისაც და ისპანიისაც თავი დაანებე, თორემ სისხლის სამართალში მიგცემთო. ჯერ არ იციან, ეს ამბავი რითი გათავდება.

**

ზელიცონში (ტესინის კანტონი შვეიცარიაში) რაღაც ახალი მწერი გაჩენილა, რომელიც ძლიერ აზიანებს თურმე ვაზს და ხეხილსა. ეს მწერი ობობა—tetranyzhus არის. ძლიერ სწრაფად ვრცელდება და ანადგურებს ვაზსა და ხეხილს. პირველად ეს მწერი გაჩნდა შარშან ერთს ვენახში; წელს-კი კარგა დიდს მანძილზეა მოდებული. ბევრსა სცდილობენ ამ მწერის გაწყვეტას, მაგრამ ჯერ-ჯერობით უვნარი წამალი ვერ აღმოუჩენიათ.

## გასართობი

—

მოლა მასრადინს ჰკითხეს: ვისა სთვლი სულელადაო?

— იმას, ვინც პირში მართლის თქმა იცისო—უპასუხა მოლამ.

—

ერთხელ მოლა ვიღაც წუწკმა კაცმა სადილად მიიწვია და მუხუდოს წვენი მიუტანა, რომელშიც რამდენიმე მარცვალი იყო. მოლამ ტანისამოსის გახდა დაიწყო.

— რას შვებიო, ჰკითხა მასპინძელმა?

— მინდა ამ წყალში ჩავიდე: იქნება რამდენიმე მარცვალი დავიჭიროვო.

—

ერთხელ მოლა დუქანში ღამე საქურდლად მივიდა. ვიღაც გამრეჯმა შეხედა და ჰკითხა—„რას აკეთებ აქო“?

— ჩონგურზედ ვუკრავო.

— რომ არა ისმის რაო?

— უთუოდ ხვალ გაიგონებთო!

—

ერთხელ მოლას მდიდარი კაცის გაქურდვა უნდოდა და ღამე სახლს კიბე მიადგა. პატრონმა შეუტყო და ჰკითხა:

— რა გინდა აქაო?

— კიბეს ვყიდიო, უპასუხა გულ-დამშვიდებით მოლამ.

— რა კიბის გასასყიდი ადგილი არის აქაო?

— რატომ არა: ყველგან ადგილია, თუ-კი კარგ მუშტარს ვიშოვიო? მოუჭრა სიტყვა მოლამ.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიაში დაბეჭდილია მოთხრობა„ ქალი თუ ვეფხი“. წავიკითხე ამერიკელის სტოქტონის გამოცანა, რომელზედაც გვარწმუნებს მთარგმნელი, რომ ამ საკვირველმა და მნელად გამოსაცნობმა ამბავმა მიიქცია ყურადღება ამერიკის საზოგადოებისა და ძლიერ ჩაათვიქრა ყველანიო, მაგრამ ჯერ კი ვერავის ახსნია ეს სტოქტონისგან დადგენილი მძიმე კითხვაო. მაშასადამე, მე რა მჯდის პასუხის მიცემას, თუ მთლად ამერიკის მეცნიერთ ჯერ კიდევ გადაუჭრით ვერ მიუციათ შესაფერი პასუხი, მაგრამ მოგახსენებათ გაბედულობას ბევრი შეუძლია და ამისათვის სტოქტონის კითხვაზედ: საიდუმლო კარებიდამ ქალი გამოვა, თუ ვეფხიო, მე ვუგებ პასუხს: საიდუმლო კარებიდამ მას დამნაშავეს შამოხვდება ვეფხვი და არა ქალი. ვინც ისურვებს და მომკითხავს მე სრულს, დამტკიცებას წარმოვადგენ ამისას.

თავ. გედევან ლორთქიფანიძე

სიამოვნებით ველით თავ. გედევან ლორთქიფანიძისაგან დაპირებულს დამტკიცებას.

რედ.

## გამოსადეგი ცნობანი

—

დამწვრის წამალი. დამწვარ ადგილს უნდა წაუსვას გლიცერინი და მერე გლიცერინშივე ამოვლებული ტილო დაეფაროს. პირველად მალიან დაეწვის, ხოლო მერე ტკივილი სრულიად გაუვლის და ამასთანავე დამწვარი ადგილი არ დაიარავდება და შემდეგ არავითარი ნიშანიც არ დაეტყობა.

მეორე წამალი კიდევ სოდაა. დამწვარ ადგილს უნდა მოაყაროს სოდა. შემდეგ სოდა ბლომად გაიხსნას წყალში და შიგ ამოვლებული ტილო დაადოს და, რამდენიც შეშრეს, გამოცვალოს. ეს წამალი მხოლოდ იმითი სჯობიან გლიცერინს, რომ სოდა მწვავე არ არის.

—

ხელებისაგან ცუდის სუნის მოცილება. თუ კაცს მუშკი სჭერია ხელში, ანუ ზეთი და სხვა ისეთი ნივთიერება გადუსხამს, რომელსაც ცუდი სუნი აქვს და რომლის მოცილება დაბანით არ შეიძლება, საჭიროა დაფქული მდოგვი ფაფასავით აიზილოს, ხელები ამით მოისრისოს და შემდეგ წყალი გადივლოს. რაც უნდა ცუდი სუნი ჰქონდეს ხელს, უთუოდ გაჰქრება.

## სამეცნიერო ნაწილი

—

Иллюстрація-ში იბეჭდება თარგმანი კამ. ფლამარიონის თხზულებისა „ოც-და-მეხუთე საუკუნეში“. ავტორი ამტკიცებს, რომ ხალხი სიცივისა გამო დაიხოცება დედამიწაზედაო. Вѣстн. Европы-ს უკანასკნელ წიგნში კიდევ დაბეჭდილია შემდეგი წინასწარმეტყველება: დედამიწაზედ ხალხი სრულიად მოისპობა, რადგანაც ადამიანის სხეულს სრულიად ძალ-ღონე გამოელევა იმის გამო, რომ ადამიანი ტვინს მომეტებულად ავარჯიშებს, ვიდრე სხეულსაო.

მაგრამ ვიდრე ადამიანის ხსენება მოისპობა დედამიწაზედ, ერთი საყურადღებო ამბავი უნდა მოხდეს. ბ-ნი ბრანდტი ამტკიცებს, რომ დედაკაცი გაცილებით აჯობებს მამაკაცს, როგორც გონებითა, აგრეთვე ფიზიკურადაო.

რაც შეეხება იმას, როდის მოისპობა დედამიწაზედ კაცობრიობა, ბრანდტი გადაწყვეტილს ვერას ამბობს.

## სასამართლოს მატიანე

—

უმართებულესის სენატის 1-ლ საკასაციო დეპარტამენტს დაუდგენა, რომ ქალის როსკიპად გამოცხადება და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დაყენება შეიძლება მოხდეს ან თვით ქალის სურვილით, ანუ მთავრობის განკარგულებით, უკეთუ გამოძიებულია და საბუთებით დამტკიცებული, რომ ქალს ცუდი ყოფა-ქცევა გაუხდია ხელობად. მაინცა-და-მაინც ამ შემთხვევაშიაც ქალს ხელ-წერილი უნდა ჩამოერთვას, რომ ის თანხმაა პოლიციის ზედამხედველობას ემორჩილებოდეს. ხოლო ის ქალი, რომელიც გარყვნილობითა სცხოვრობს და ამასთანვე უარჰყოფს ზედამხედველობას, იდუმალი როსკიპია და შეიძლება სამართალში მიცემულ იქმნას არა იმიტომ, რომ ზედამხედველობის დებულებას არღვევს, არამედ იმიტომ, რომ ჩუმად როსკიპობს. არ შეიძლება ამისთანა ქალს, თუ იგი ზედამხედველობას არ დამორჩილებია, მოეთხოვოს, საროსკიპო კანონთა ასრულება და უკეთუ ქალს ძალა დაატანეს და მისი სახელი უსაბუთოდ შებღალეს, მაგალითად, თუ ძალად შეამოწმეს,—მას შეუძლიან თავისი შეურაცხმყოფელნი კანონიერ პასუხის გებაში მისცეს.

# დეპეშა

12 სექტემბერი

**ვაშინგტონი.** სენატორმა სტუარტმა მოითხოვა პრეზიდენტი კლეველენდი სამართალში მივცეთ, რადგანაც სენატის უფლების შეხება მოინდომა და სცდილობდა იძულებულ ეყო კონგრესი, რომ შერმანის კანონი გაეუქმებინა.

**ვენა.** დაპატიმრებულ იქმნა ორი დურგალი; იპოვნეს სტამბა, გილზები ყუმბარების ასაფეთქებლად, უკვამლო თოფის წამალი და სხვა ასაფეთქი მასალა; დაპატიმრებულია კიდევ 12 მუშა. აქ გავრცელდა ანარქისტების პროკლამაციები.

პეტერბურგის ბირჟა, 10 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,66 | 7,69 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 153,26 | 153 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 218¾ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 193¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | 100½ | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 100 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 100 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 98½ | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

**ჯალალ-ოღლში ალ. ფან—შვილს** გამოგზავნეთ წარმოდგენის ანგარიში და დავბეჭდავთ.

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალ-

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და საალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ეე ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი


ბ ე ბ ი ა

მ ა რ ი ა მ ი ვ ა ნ ე ს ა ს უ ლ ი

**დემურიასი**

გადმოყვანილ იქმნა ლენქორანიდამ (ბაქოს გუბერნია) ტფილისის მესამე განყოფილების ბებიად.

ა დ რ ე ს ი: სამების ვიწრო ქუჩა, № 9. (3—960—1)

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ გაზეთ “ივერიის“ ამ 1893 წლის მე № 181 შეცდომით იყო დაბეჭდილი: „ისყიდება სოფლის მამული თავადის სვიმონ გიორგის ძის წერეთლისა, მდებარე სოფელს ვარდის უბანში, ანუ შავ-საყდარში, ტილისის გუბერნიასა და მაზრაში“; ხოლო სოფ. ვარდის-უბანს ანუ შავ-საყდრის მაგიერ უნდა ყოფილიყო: „სოფელს **დამ კაჩაში**, იმავე გუბერნიისა და მაზრაში.

**მ. მურტაზი**

დაბრუნდა კოჯრიდგან და ინგლისურ ენას ასწავლის მსურველთ. იმის სისტემით ძალიან მალე შეიძლება შეითვისოს გამოთქმა ინგლისურის სიტყვებისა, როგორც უკვე იცის ყველამ, ვისაც მასთან უსწავლია. ადრესი: ლაბარატორის ქუჩა, ხალათოვის სახლის ეზოში. (3—959—1)

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ **დაიცალა** დიდითონეთის სასოფლო სკოლის **მასწავლებლის** ადგილი და, ვისაც სურ.ს ამ ადგილზე განწესება, უნდა გამოგზანოს თხოვნა გამგეობის სახელობაზე. მასწავლებელს ეძლევა ოცდა-ათი თუმანი ჯამაგირი, ბინა საცხოვრებლად და შეშა.

(5—3)

ქ. ოზურგეთსა და ახალ-სენაკ ში გ. თავართქილაძის-მიერ ახლად გამოცემულია შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხოლერა და იმისი თავიდან ასაცდენი დარიგებანი, დიმ. ერისთავისა . . . . . | „ | 10 |
| სამშობლოს სიყვარული, მონტეგაციდან, ს. ყიფიანისა | „ | 5 |
| თეოფ. ხუსკივაძის ნაწერები | „ | 30 |
| საყმაწვილო ბიბლიოთეკა ოცხანელისა, მეორე გამოცემა . . . . . . | „ | 5 |
| ამპარტავანი გიორგი, მეორე გამოცემა, გარშინისა . . | „ | 5 |
| ვეფხის-ტყაოსანი სურათით და მოკლე ბიოგრაფიით, მეორე გამოცემა . . . . | „ | 40 |
| სიმონა, ე. ნინოშვილისა . | „ | 30 |
| რამდენიმე მოთხრობა, ე. ნინოშვილისა . . . . . | „ | 50 |

და სხვა და სხვ...

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—98)

იბეჭდება და გამოვა შემოდგომის დამლევს

ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათებით

**საქართველოს კალენდარი**

1894 წლისათვის.

«საქართველოს კალენდარში განცხადების დაბეჭდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამომცემელს ვალ. გუნიას ქ. ტფილისში სათავად-აზნაურო ბანკში.

ფასი: 1 გვერდი წიგნის თავში 12 მან., ბოლოში 5 მან., $^{1}/_{2}$ გვერდი 3 მან.

(5—4)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი გრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |

**გამოსადეგი ცნობანი**

**პირველი კერძო საავადმყოფო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—$10^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—$11^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, $7^{1}/_{2}$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




**1894 წლის იანვრიდგან**

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

**„მ ო ა მ ბ ე“**

შემდეგის პროგრამმით:

I სიტყვა-კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, სიერო მეურნეობა, მართლ მსაჯულება, შესანიშნავი სამჯავრო პროცესები.

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.

IV კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI ნარევი.

VII განცხადებანი.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე. კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, ეგ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი). ნინო ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოღობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი. გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, Редакція «Моамбе».

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე


Доз. ценз. Тифлисъ, 13-го Сентября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**